დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მიერ **სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის** საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

წევრები:

გიორგი ევგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 08.12.2022 წლის N 1564672 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);

გიორგი ევგენიძე - დარგის („სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“) ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ „ფაზისში“ 2022 წლის 16 დეკემბერს ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. N 54-ში.

ექსპერტთა ჯგუფს გადმოეგზავნა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მიწოდებული შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შევისწავლეთ დოკუმენტაცია და შევადგინეთ ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის მიხედვით განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების წარმომადგენლებს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით, ხარისხის მართვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, დარგობრივი მოდულების, ასევე ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს. გადავამოწმეთ დოკუმენტაცია, პროფესიული მასწავლებლების, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები, დავათვალიერეთ სასწავლო გარემო, ბიბლიოთეკა, ინტეგრირებული ლაბორატორია და მატერიალური რესურსი.

დღის ბოლოს განვახორციელეთ ვიზიტის შეჯამება და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის მიგნებების გაცნობა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მიერ სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ გადაეგზავნა დაწესებულებას, რომელმაც წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

არ გამოვლენილა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ხარვეზი არ დაფიქსირდა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაიცა.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.8.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ გადახედვა და ტექნიკური უზუსტობების გასწორება;

2..2.1.3

სასურველია პროფესიული მოდული „საავიაციო გადაზიდვები“ განხორციელდეს შესაბამისი განათლების ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ.

2.2.1.4.

სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია გახდეს ანაზღაურებადი, ვინაიდან მოტივაცია მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N 01/117 25.10.2022 წ.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N 54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური, დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	მოდულური - 15 პროფესიული სტუდენტი; დუალური - 15 პროფესიული სტუდენტი.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	მოდულური პროგრამის კვოტის ფარგლებში 15 პროფესიული სტუდენტი.
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში; მის. ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქ. N 54.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში; მის. ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N 54.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	შეესაბამება	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N 01/119 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 23-ე მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის დირექტორთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ინტეგრირებასთან დაკავშირებით იგი დაეყრდნო ეკონომიკის სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს და ასევე დაწესებულების მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განხორციელებულ გამოკითხვებს. დაწესებულების წარმომადგენლების ერთ-ერთი არგუმენტი იყო ასევე ის, რომ ინტეგრირებული პროგრამა საბაზო განათლების მქონე პირებს დაეხმარება კარიერულ წინსვლაში და შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სრული ზოგადი განათლების ატესტატი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებთან.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N 01/119 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევას, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ინტეგრირებული პროგრამა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის ინვენტარით აღჭურვილი გარემოს, მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც დაწესებულებას A და C გარემოსთვის გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე- თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის (49,2 კვ.მ.), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. B სასწავლო გარემოსთვის მოწყობილია ორი კომპიუტერული ლაბორატორია (40 სამუშაო ადგილი 40 პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტზე). თუმცა, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში.

პრაქტიკული სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება როგორც კოლეჯში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერების და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიურების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 23-ე მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 05 აგვისტოს N 01/99 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 25 ოქტომბრის N 01/117 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული) შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის  შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირების წესისა და პირობების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N 48/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოიცავს მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისთვის). პროგრამით განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, პროგრამის მოცულობა (მოდულური, ინტეგრირებული), სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ კოლეჯს მითითებული აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანება. ნაცვლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ შესახებ (28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), რომელიც ითვალისწინებს, რომ მოდულის „ქართული ენა A2” და ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლების შერჩევა განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ავტორიზაციის ექსპერტები აღნიშნულთან დაკავშირებით გავესაუბრეთ დაწესებულების წარმომადგენლებს. სასწავლო პროცესის მენეჯერმა აგვიხსნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებების შეტანის დროს დარჩათ პროგრამის ტექსტში და წარმოგვიდგინა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც ასახულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“შესახებ ბრძანება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:

სასურველია მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ გადახედვა და ტექნიკური უზუსტობების გასწორება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და მოდულები;
- პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ სასწავლო გეგმები (მოდულური და ინტეგრირებული);
- საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ აქვს სწავლის 7 შედეგი, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფილია, დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; ზოგადი ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების სწავლება ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, მისამართზე ქ ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა 54, პირველ, მეორე და მესამე სართულებზე განთავსებულ სივრცეებში. ყველა სივრცე სრულადაა აღჭურვილი აუცილებელი სასწავლო კომპონენტებით. B გარემო მოიცავს 15 სტუდეტის და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილებს, რომლებიც აღჭურვილია იგივე რაოდენობის პორტატული კომპიუტერებით, რომლებშიც ჩატვირთულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის. სივრცე უზრუნველყოფილია შიდა ქსელით, პროექტორით და მრავალფუნქციური პრინტერით, სივრცეში არსებული ყველა კომპიუტერს აქვს წდომა შიდა ქსელთან, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ განხორციელდა ინტერნეტთან წვდომის დადასტურება. ინგლისური ენის შესწავლისათვის გამოყოფილი სივრცე აღჭურვილია სწავლების განხორციელებისათის აუცილებელი კომპიუტერით და აუდიო სისტემით. ინტეგრირებული მოდულების სასწავლო სივრცეები სრულადაა აღჭურვილი აუცილებელი მოწყობილობებით, ყოველივე ამის გათვალისწინებით, „სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა საერთო რაოდენობას. დაწესებულება სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს ,,უნივერსალური სატრანსპორტო სერვისი;“
- შპს ,,აპავენ ჯორჯია“;
- LLC "BCS" (Best Caucasian Service);
- შპს ,,ბი სი ეს“;
- შპს ,,კავკასიის ლოჯისტიკური ჯგუფი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ,,KKK&company";
- შპს ,,Marine Shipping and Forwarding.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა " განსახორციელებლად განსაზღვრულია: 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს ქართული ენის მოდულებს (ქართუ ლი ენა A2, ქართული ენა B2, კომუნიკაცია ქართულ ენაზე) უცხოენოვანი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში; 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს 3 ზოგად მოდულს; 3 პროფესული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს 11 პროფესიულ მოდულს; 5 პროფესიული მასწავლებელი ახორციელებს 6 ინტეგრირებულ მოდულს; პროფესიული განათლების მასწავლებლების პროგრამის განხორციელებაში ჩართულობა დასტურდება შრომითი ხელშეკრულებებით. ხოლო მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N 01/52 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სსიპ კოლეჯ ,,ფაზისის" მასწავლებელთა პირადი საქმეების გაცნობით და გასაუბრებით ნათლად იკვეთება ინფორმაცია მათი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკრეტული საგნის მასწავლებლად მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების შესახებ. მასწავლებლების უმრავლესობა ამავე კოლეჯში ასწავლის უკვე რამდენიმე წელია. პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმით ვერ დადასტურდა საკვალიფიკაციო ბმა პროფესიულ მოდულთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საავიაციო გადაზიდვები“, რომლის განხორციელება შინაარსისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი განათლების ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ. აღნიშნულ მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იგი აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეუძლია სწავლება, თუმცა სასურველია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის მოძებნა.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შერჩეულ არიან ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც დღემდე უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები. სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ტრენინგებში მონაწილების დამადასტურებლად მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია სერტიფიკატები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, მათ აღნიშნეს, რომ აქტიურად იღებენ მონაწილებას საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ საგნობრივ ღონიძიებებში და ეცნობიან თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია -

სასურველია პროფესიული მოდული „საავიაციო გადაზიდვები“ განხორციელდეს შესაბამისი განათლების ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მასთან გასაუბრებით და დოკუმენტირებული, ხანგრძილივი სამუშაო გამოცდილებით. თუმცა, არ არსებობს თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი შრომითი ხელშეკრულება, ნაცვლად წარმოდგენილ იქნა დირექტორის ბრძანება (25 ოქტომბერი 2022წ. N 03/52) პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია არ არის ანაზღაურებადი ამიტომ არ არის მასთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული.

ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია-

სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია გახდეს ანაზღაურებადი, ვინაიდან მოტივაცია მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ საჭირო საგანმანათლებლო მასალა ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული პროგრამების სტუდენტთათვის , ასევე მასწავლებლებისთვის. თანამშრომლების განცხადებით, საგანმანათლებლო რესურსი ინახება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური რესურსები გადამოწმებული იქნა წარმატებით, ხოლო ელეტქრონული რესურსის შემოწმება ვერ შევძელით. მოცემულ მომენტში კომპიუტერების ინტერნეტთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ასევე გათიშული იყო ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა (Open Biblio). აღნიშნული ხარვეზის შესახებ წარმოდგენილ იქნა ბიბლიოთეკარის სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც მან მიმართა შესაბამის სამსახურს ხარვეზის გამოსწორების მიზნით. ბიბლიოთეკარის ინფორმაციით, მრავალი მასალა დატანილია დისკებზე, რათა სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელი იყოს საჭირო ინფორმაციის მოძიება. ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტრონული და მატერიალური კატალოგი და აღრიცხვის ჟურნალი. რაც შეეხება მარეგულირებელ დოკუმენტაციას, რეგლამენტებს, ბრძანებებსა და წესებს მათი მოძიება ხორციელდება ვებ გვერდიდან matsne.gov.ge, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უახლესი გამოცემების საშუალებით განხორციელებას. ვებგვერდზე არსებულ დოკუმენტაციასთან სრულფასოვანი წვდომის უზრუნველსაყოფად სასწავლებელს გააჩნია პირადი ჩანაწერი (account). აღნიშნული დასტურდება ბიბლითეკართან, მასწავლებლებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და დირექტორთან გასაუბრებით.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს საჭირო რესურსებს აწვდიან ელექტრონული ფორმით მათთვის სასურველი ელექტრონული პლატფორმების საშუალებით. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.ჰსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით (დანართი N 5 პროგრამის ბიუჯეტი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ (ინტეგრირებული) ფინანსურად მდგრადია, რადგან ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დადგენილია რენტაბელობის ზღვარი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია“;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

16.01.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: